პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) მაზრკომი, თბილისის კომიტეტი და საქართველოს სსრ მრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 4 იანვარი, 1946 წ. № 3 (7476). ფასი 20 კაპ.

ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

დიდი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს დიდ სტალინს, მის უახლოეს თანამებრძოლებს, სამშობლოს რჩეულ შვილებს.

წინასაარჩევნო კრებები საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ახალ მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცნენ.

საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრი დემონსტრაცია

ოქრ იანვარს დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. საქართველოს ქმრომელებმა თავის პირველ კანდიდატად დასახელეს ხალხთა მბრძენი ბელადი ამხანაგი **სტალინი**. უსაზღვრო სიყვარულით და ულიმესი ძალლობის გრძნობით ლაპარაკობდნენ წინასაარჩევნო კრებებზე სიტყვით გამოსული ამხანაგები დიდი სტალინის შესახებ. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან ამხანაგ **სტალინის** უახლოესი თანამებრძოლები **ვ. მ. მოლოტოვი, მ. ი. კალინინი, ლ. პ. ბერია,** აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების მდივანი **კ. ნ. ჩარკვიანი.**

გუშინ საქართველოს მშრომელებმა წამოაყენეს ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლები — **ა. ი. მიკოიანის, ა. ა. ანდრეევის, გ. მ. მალენკოვის** კანდიდატურები. და როგორც 2 იანვარს, გუშინაც დეპუტატობის კანდიდატთა შორის დასახელებულ იქნენ ჩვენი რესპუბლიკის ხალხის ბედნიერების სიმღერები. საბჭოთა მეურნეობის ხმაში გაისმა ხალხის გულისძგერა, გამოიხატა მისი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და სტალინური მეგობრობის ცხოველქმაფული ძალა.

მომავალი არჩევნებისათვის მზადების დღეებში მეურნეები მოწოდებულნი არიან ასახონ და გამოხატონ ის დიდი სულიერი სიმტკიცე, სამშობლოსადმი სიყვარული და ერთგულება, რაც საბჭოთა ხალხმა სამამულო ომში გამოიჩინა. სიმღერები სტალინური კონსტიტუციის დიდ შემოქმედ — ამხანაგ სტალინზე, ბელადსა და უმაღლეს მთავარსარდალზე, ლენინში მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიულ საარჩევნო კანონზე — ხალხის ბედს სწყდება და აღაფრთოვანებს.

საქართველოს მწერლებმა მხატვრული მომსახურება გაუწიონ საარჩევნო ოლქებსა და უბნებს, მოეწყოს მუშრალთა ბრიგადების გაგზავნა რაიონებში, ლენაბთან და სიმღერებთან ერთად დაიწეროს არჩევნებისადმი ძღვნილი მხატვრული ნარკვევები. საარჩევნო კამპანიის მომსახურების საქმეში უნდა მონაწილეობდეს თვითეული მწერალი.

ჯერ კიდევ ვერ ვიტყვით, რომ მწერალთა მუშაობა ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი იყოს. მართალია, მწერალთა კავშირმა მოაწყო რამდენიმე ლიტერატურული საღამო საარჩევნო უბნებში, მწერლების შეხვედრა ამომრჩეველებთან, მაგრამ ამ საქმეს დღემდე არ მიეცია სისტემატური ხასიათი. არ იწერება ნარკვევები.

მეკოხველი მოელის ჩვენი პოეტების ახალ ლექსებს არჩევნებზე, იმ დიდ პოლიტიკურ ადამიანობაზე, რასაც ჩვენი საშობლო აყალიბებს.

საარჩევნო კამპანიაში თავიანთი აქტიური მონაწილეობით მწერლები ხელს შეუწყობენ არჩევნების წარმატებას. ბუნებრივია, თავის მხრივ ეს მნიშვნელოვნად ამაღლებს თვით მწერლის პოლიტიკურ აქტივობას. მეტ საზოგადოებრივ მნიშვნელობას მისცემს მის ნაწარმოებს.

წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც ახლა ტარდება მთელ ჩვენს ქვეყანაში, წარმოადგენენ საბჭოთა პატრიოტიზმის მკაფიო დემონსტრაციას. ხალხს ეს დიდი პოლიტიკური აქტივობა, საარჩევნო კამპანიის წარმატება მხატვრულ ნაწარმოებებში უნდა ალბეჭდნ ჩვენმა მწერლებმა.

ქართველი საბჭოთა მწერლის ხმა უფრო მძლავრად უნდა გაისმას საარჩევნო კამპანიაში! მხატვრულმა სიტყვამ უნდა გამოხატოს საბჭოთა ხალხის პატრიოტული სულისკვეთება. მისი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სიყვარული და ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, დიდი **სტალინისადმი!**

თბილისის საორთქლმავალო დეპოს კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

იოსებ ბესარიონის-ძე სჯალინი

ეროვნებათა საბჭოს კანდიდატად

შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძე

ეს-ეს არის მოსცეს მუშაობის დამთავრების სიგნალი. თბილისის საორთქლმავალო დეპოს მუშათა კლუბის ფართო დარბაზში ჯგუფჯგუფად შემოდიან ადამიანები. ბალე დარბაზი ხალხით გაიქცა. აქ არიან ზეინკლები, ხარატები, მექანიკოები, მრანდავები, შეადუღებლები, ინეინრები, ტექნიკოსები. აქ არიან სახელოვანი მემანქანეები, რომელნიც სამამული ომის მრისხანე დღეებში უშიშრად დაკქროლებდნენ ფრონტიათვის განკუთვნილ ძვირფასი საქონელით დატვირთულ ეშელონებს.

დარბაზში საზეიმო განწყობილებაა.

სცენის სიღრმეში გრძელ წითელ ტელოზე ბრწყინავს წარწერა: „გაუმარჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციის შემოქმედს იოსებ ბესარიონის-ძეს სტალინს!"

ადგილკომის თავმჯდომარე მ. ხატაშვილი თბილისის საორთქლმავალო დეპოს მუშაკთა კოლექტივი კრებას განსხილავ აცხადება.

ტრიბუნასთან პირველი მიდის ტრანსპორტის ძველი მუშა, დეპოს უფროსი იასონ გაბრიელის-ძე ნუცუბიძე. იგი მოკლედ ლაპარაკობს უძველ დამეებსა და დამამაღალი მუშობის განცალ დღეებზე.

ჩვენი საწარმოს კოლექტივმა,—ამბობს ამხ. ნუცუბიძე, — სამამულო ომის დღეებში პირსათლად შეასრულა სამშობლოსადმი ფალალი. დეპოს მეშინაქანეებს განეწყვეტელ ნაკადად მიქონდათ ფრონტის ხაზისაკენ ძვირფასი ტვირთი, დაუღალავი შრომით ეხმარებოდნენ გმირ მებრძოლებს საბჭოური მტრის განადგურებაში.

ორატორი წარმოსთქვამს იმ ადამიანის სახელს, ვინც გამარჯვება და სიხარული მოგვიტანა, საყვარელი ადამიანის—ამხანაგ სტალინის სახელს.

— წინადადება შემომაქვს,—ამბობს იგი,—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნეს საბჭოთა ხალხის ესაყვარელი ბელადი ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

ბეჭერი ტაშით, აღფრთოვანებული შეძახილებით ხვდება თელი დარბაზი ამხ. ნუცუბიძის წინადადებას. დიდხანს არ სცხრება ტაში და „ვაშა" ძახილი ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

შემდეგ ტრიბუნასთან მიდის დეპოს ლენინელი მემანქანე ამხ. ე. ახალაია.

— დღეანდელი დღე,—აცხადებს იგი, — დაუვიწყარია ჩვენი საწარმოს კოლექტივისათვის. ჩვენ წ�„ფლაგ" გვქონდა ბედნიერება—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ თელი საბჭოთა ხალხისათვის ყველაზე საყვარელი ადამიანი დიდი სტალინი. მე სულითა და გულით ვუჭერ ხელს ამხ. ნუცუბიძის წინადადებას.

შემდეგ სიტყვას იღებს ყოფილი მუშა, ამჟამად დეპოს უფროსის მოადგილე ინეინერი თამარ გაგნიძე. იგი ბაარს უმეორს წინა ორატორებს წინადადებას კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საბჭოთა ხალხის საყვარელი ბელადის, ჩვენი გამარჯვებათა სულისჩამდგმელის, ამხანაგ სტალინის წამოყენებინ შესახებ.

კვლავ გრიალებს ტაში ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

თბილისის საორთქლმავალო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

კრება სთხოვს ამხანაგ სტალინს დასთანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის სტალინის № 555 საარჩევნო ოლქში.

დეპოს აწევითი და საშუალო შეკეთების საამქროს უფროსს ლენინის ორდენოსან შალვა ხიზანიშვილს წინადადება შემოაქვს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნეს დეპოს ინსტრუქტორ-მემანქანე სოციალისტური შრომის გმირი შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძე.

— ამხ. კოხრეიძე—ამბობს იგი—15 წელიწადზე მეტია, რაც ერთგულად ემსახურება რკინიგზის ტრანსპორტს. ამისათვის მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სამატონო წოდება. დიდი სამამული ომის დღეებში ამხ. კოხრეიძის საორთქლმავალო გენდები შეუწყვეტლივ ამარაგებდნენ წითელ არმიას საჭიროებელი ფრონტზე. თავდადებული შრომით დეპოს მუშათა კოლექტივში ამხ. კოხრეიძემ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

სიტყვას ამბობს მემანქანის თანაშემწე კომკავშირელი შალვა კობერიძე. იგი ამბ. კოხრეიძეს ახალგაზრდა მემანქანეების საყვარელ მასწავლებელს უწოდებს. და ახლა უმეორს ამხ. ხიზანიშვილს წინადადებას.

სიტყვებით გამოვიდნენ ძველი მეშინაქანე გრიგორ მელიქაძე, სტახანოველი მექანიკი თევდორე ივანენკო, ხარატი ს. სანაძე, რომელმაც მხარი დაუჭირეს წინა ორატორების წინადადებას ამხ. კოხრეიძის ერთგულებათა ამბოვს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენების შესახებ.

დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ერთხმად ადგენს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძე და სთხოვს მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 122 საარჩევნო ოლქში.

დასასრულ კრებამ ლენინის რაიონის წინასაარჩევნო კრებაზე წარმოადგენელად **აირჩია** 10 ამხანაგი.

ი. ბ. სჯალინმა მიიღო ბ-ნი ლეო კრეიცკი

3 იანვარს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სრულიად სლავთა კონგრესის პრეზიდენტი და საწარმოო პროფკავშირთა შეთავსილი მამაკაცთა ტანსაცმლის მკერავების პროფკავშირის ვიცე-თავმჯდომარე ბ-ნი ლეო კრეიცკი.

მიიღეს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი.

თბილისის მეორე სამკერავლო ფაბრიკის კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

იოსებ ბესარიონის-ძე სჯალინი

ხუთი საათია. თბილისის მეორე სამკერავლო ფაბრიკის საზეიმოდ მორთული კლუბი სავსეა ხალხით. აქ არიან ფაბრიკის ოსტატები, მოდამსახურეები და ინეინერ-ტექნიკოსები — 600-ზე მეტი კაცი.

პარტიიერთა ძღვანი შ. აბესელიძე ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინეინერ-ტექნიკოთა მუშაკთა კრებაა ეიძღვნილ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი, გახსნილად აცხადებს.

შემოდის წინადადება, საპატიო პრეზიდიუმი არჩეულ შესახებ.

— საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი დიდი **სტალინი!**

კრება მონაწილენი მქუხარე ტაშით ეგებებიან ამ წინადადებას.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ავრეთვე ამხანაგები: მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიკოიანი, ანდრეევი, ბერია, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, მალენკოვი, ვოზნესენსკი, შვერნიკი, ჩარკვიანი, ბაკრაძე, სტეფანეა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანს კ. ა. ზოშტარასს. შემდეგ ლაპარაკობს მესამე სამკერავლო საამქროს უფროსი ა. კვაჭაძე.

— ჩვენ,—ამბობს იგი,—ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ პირველად ვიკრიბებით ინსტიტუტს, რომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებ დიდ სტალინს, ბელადს, ხალხთა ბრძენ მბრძოლ, ბელადს, ხალხთა ბრძენ ბელადს, ამხანაგ სტალინს ბოლომდე ერთგულ ადამიანებ.

წინადადება შემომაქვს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნეს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედი, ჩვენი გამარჯვებების დიდი ორგანიზატორი გენერალისიმუსი იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინი.**

დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება კავშირის საბჭოს დეპუტატობა კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელებას. დიდხანს გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!", „ამხანაგ სტალინს ვაშა!".

ამხ. კვაჭაძის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ფაბრიკის დირექტორმა ხ. ჩაფარანოვმა, პირველი საამქროს სტახანოველმა მკერავმა ა. კაკოლამ, მწნეხარამ ნ. ფეტმარიაშვილმა, საგვემო გასაყოფილებს უფროსმა მ. ლორთქიფანიძემ.

პირველი საამკერავლო საამქროს უფროსმა ა. ბხილარიანმა წინადადება შეიტანა ეთხოვოს ამხანაგ სტალინს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ბერიას სახელობის № 556 საარჩევნო ოლქში. ამ წინადადებას კრება მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მიიღეს იქნა მისალმება დიდი სტალინისადმი.

დასასრულ კიროვის რაიონის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმომადგენელებად ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივიდან არჩეულ იქნა 15 კაცი.

მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე

მთელ ჩვენს ქვეყანაში შესდგა შრომელთა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრებები, საბჭოთა ხალხმა დაასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველი კანდიდატები.

მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში, ერევანში, ტაშკენტში, აშხაბადში, მინსკში, ვოროშილოვგრადში, ტამბოვში, ხარკოვში, ნოვოსიბირსკსა და ბევრ სხვა ქალაქში, სოფლებში მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთი პირველ კანდიდატად დიდი ლენინელ-ფრთოვანებად დაასახელეს ხალხის ბელადი **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.**

ბევრ წინასაარჩევნო კრებაზე წამოყენებულია პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგების **ვ. მ. მოლოტოვის, მ. ი. კალინინის, ლ. პ. ბერიას, გ. მ. მალენკოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ა. ა. ჟდანოვის, ა. ა. ანდრეევის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. მიკოიანის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. მ. შვერნიკის, ნ. ა. ვოზნესენსკის** კანდიდატურები.

სსრ კავშირის დელეგაციის შემადგენლობა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ სესიაზე

სსრ კავშირის **სახალხო კომისართა** საბჭომ დანიშნა **საბჭოთა** კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ სესიაზე შემდეგი შემადგენლობით:

ა. ა. ვიშინსკი — **სსრ** კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე (დელეგაციის მეთაური),

ა. ა. გრომეკო—სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში,

ფ. ტ. ბუხეკინ — სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში,

ა. ა. ლავრენტიევი — რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი,

ჯ. ვ. კუზნეცოვი — პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

ქარხანა „სერპ ი მოლოტის" კოლექტივმა წამოაყენა
ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის კანდიდატურა

ისევე როგორც ამ რვა წლის წინათ, ვეშინ მოსკოვის მტალურგიულ ქარხანა „სერპ ი მოლოტი" ღირსშესანიშნავი დღე იყო. ისევე როგორც რვა წლის წინათ, ორგზის ორდენოსანი საწარმოს კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

ამ ღირსსახსოვარ დღეს დედაქალაქის საბოლგანძეული მეტალურგები დიდი საწარმოო გამარჯვებით შეხვედნენ. მათ წარმატებით შეასრულეს 1945 წლის პროგრამა და დაავალების გადამეტებით მოსცეს ჩვენს ქვეყანას 12.500 ტონა ფოლადი და ნაგლინი. პირველი მარტენის საამქროს მეფოლადეები და მსხმველნი, რომელნიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ თავდადებულად შრომობდნენ ფრონტისათვის, ახლა მთელ თავის ძალღონესა და ცოდნას აბპარენ სახალხო მეურნეობის აღდგენას. 20 დეკემბერს მათ პატაკი წარადგინეს წლიური გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ.

ცოცი გლინეის საამქროს მორთულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომატეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტებით, ალმებითა და ლოზუნგებით, კანდიდატის წამოყენებისადმი მიძღვნილ კრებაზე მოვიდა 4.000 კაცი — მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოსამსახურეები. აქ იყო ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქარხნის კოლექტივის საუკეთესო ნაწილი, მისი სიამაყე და დიდება.

შეკრებილებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს სამპალო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

პირველი სიტყვა ქალაქ მოსკოვის მოლოტოვის საარჩევნო ოლქიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს კანდიდატის წამოყენების შესახებ ეძლევა ფეოდელსაალნინგი საამქროს ცხელი გამყოფილების უფროსს ი. მ. რომანოვს. ქარხანაში მეშობის ოცდასამი წლის მანძილზე მან გაიარა გზა შავი მუშადან ხელმძღვანელამდე. მისი შრომა დიდ სამამულო ომში აღნიშნულია მაღალი ჯილდოთი—ლენინის ორიენი.

ორატორმა თავისი სიტყვის დასაწყისი მოუძღვნა ოქტომბრის სოციალისტიკური რევოლუციის მონაპოვართან, ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა ხალხის დიდ გმირობას სამამული ომში, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს ამხანაგ სტალინს, და შემდეგ სთქვა:

— ჩვენი ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა კოლექტივის ინიციატივით რვა წლის წინათ მოლოტოვის საარჩევნო ოლქიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულ იქნა ამხანაგი მოლოტოვი.

დღეს მე დიდი სიხარულით კვლავ ვასახელებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქარხანა „სერპ ი მოლოტის" მუშათა, მოსამსახურეთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთაგან ჩვენს სახელოვან დეპუტატს, ჩვენ სამშობლოს მშრომელთა ბედნიერებისათვის დაუღალავ მებრძოლს—ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს. (ტაში).

ჩვენი საარჩევნო ოლქი სახელოვანი ბოლშევიკის ამხანაგ მოლოტოვის სახელს ატარებს. ჩვენთვის, მოლოტოვის ოლქის ამომრჩეველებისათვის, დიდი პატივი იქნება ხმა მივცეთ იმ ადამიანს, რომელმაც გაამართა ხალხის ნდობა, სტალინური ტიპის ხელმძღვანელს, ადამიანს, რომელსაც უყვარს თავისი ხალხი, თავისი სამშობლო, ხმა მივცეთ ამხანაგ მოლოტოვს.

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი ბოლშევიკური პარტიის წევრი არის დააბოლოებით ორმოცი წელიწადია. საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯებიდანვე ამხანაგ მოლოტოვს პასუხსაგები პოსტები უჭირავს სახელმწიფოს ძირთა-გამგეობაში.

საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარული და უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა.

სამამული ომის წლებში ამხანაგი მოლოტოვი ბრძოლიდან ახორციელებდა ტალანტებრივ საგარეო პოლიტიკას, ეცავდა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ინტერესებსა და აფორიტეტს.

სამშობლოსა და ხალხის წინაშე თავანსაცმელ დამსახურებისათვის ამხანაგ მოლოტოვს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

ამხანაგებო! ვასახელებ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ მოლოტოვს, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქარხნის კოლექტივი მხარს დაუჭერს ჩემს წინადადებას, ხოლო ქალაქ მოსკოვის მოლოტოვის ოლქის ამომრჩეველები თავიანთ ხმას მისცემენ ბოლშევიკური პარტიის ერთგულ შვილს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს.

გაუმარჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციას — სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციას!

გაუმარჯოს დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს — ამხანაგ მოლოტოვს!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! (მჭუხარე ტაში).

* * *

ტრიბუნაზე ზეწამოდგა ბადინ ორატორები. მაზნებარი, გულის სიღრმიდან აღმომდგარი სიტყვებით ისინი მხურვალედ უჭერენ მხარს ამხანაგ მოლოტოვის კანდიდატურას.

სამამული ომის მონაწილემ დ. ფ. კორაბლოიმა ფრონტების გზებით გაიარა მოსკოვიდან ბუდაპეშტამდე. მისმა სამხედრო ნაწილმა საგმირო საქმეებისათვის ოცზე მეტი ჯილდო მიიღო უმაღლეს მთავარსარდალ ამხანაგ სტალინისაგან, ხოლო ბევრი მეომარი, მათ შორის ამხანაგი კორაბლოიოც, დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. ამ ცოტა ხნის წინათ ამხანაგი კორაბლოიოი შშობლიურ ქარხანაში დაბრუნდა და ამჟამად ზეინლად მეშობს ფეოდელსაგლინგ საამქროში.

— ახლა, ამხანაგებო, მშვიდობა დაიგო მთელი მსოფლიოსათვის, — სთქვა მან თავის სიტყვაში. თქვენთან ერთად ჩვენ, გამარჯვებული მეომრები, მონაწილეობას ვიღებენთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. სულით და გულით ვუჭერ მხარს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს, ამხანაგ სტალინის სოეკეთესო თანაშემწეს, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ნიჭიერი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის კანდიდატურას.

ომის მძიმე დღეებში ამხანაგი მოლოტოვი ბევრ ძალას ახმარდა წოდოელი არმიის ტანკებით, საქურველით, საომარი მასალებით და სურსათით მომარაგების ორგანიზაციას.

ამხანაგი მოლოტოვი, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი, პატიოსნად და სიმარდოლით იცავს ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ხალხთა მეგობრობის განსამტკიცებლად. ამხანაგ მოლოტოვს უყვარს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი და მთელ თავის ძალღონეს ახმარს ჩვენი სახელოვანი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას.

ამხანაგ მოლოტოვის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭერს მხარი სარეგბრეტო - მექანიკური საამქროს სტახანოველმა ხარატა ვ. ფ. პოლინამ, კონტროლიორ ოსტატმა პ. ა. ბელოშენმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ტექნიკური განყოფილების ინჟინერმა ს. ბ. გინზბურგმა, მარტენის საამქროს „უფროსის მოადგილემ ს. ბ. ლებედევმა, საკავშირო ალკა საქარხნო კომიტეტის მდივანმა პ. ვ. კისელოვამ, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა ქარხანაში კ. პ. ჩეროიავამ.

კრება ერთსულოვნად იღებს დადგენილებას, რომელიც ნათქვამია:

„მოისმინა და განიხილა რა საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების შესახებ, მოსკოვის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მეტალურგიული ქარხნის „სერპ ი მოლოტის" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრება ადგენს:

1. დასახელებულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვაჟლავ მოსკოვის მოლოტოვის საარჩევნო ოლქიდან ორგზის ორდენოსანი ქარხნის „სერპ ი მოლოტის" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივისაგან ჩვენი სამშობლოს შშრომელთა ბედნიერებისათვის დაუღალავი მებრძოლი, დიდი სტალინის უერთგულესი თანამოსაგრე, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე—ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, 1890 წელს დაბადებული, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი.

2. ეთხოვოს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს თანხმობა კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ მოსკოვის მოლოტოვის საარჩევნო ოლქიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე ეკავა ადგილი ბოლშევიკ ქარხანაში „ეტალონ" ბოლშევიკ ქარხანა „ეტალონ" მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრება.

ამ წერილში მეტალურგები აცხადებენ, რომ მომავალ არჩევნებში, ისევე როგორც რვა წლის წინათ, ისინი უდიდესი სიხარულით მისცემენ თავიანთ ხმას ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს.

ფეოონ-სამსხმელო საამქროს ოსტატ ა. ვ. ლოპეზოვის წინადადებით კრებამ წინასაარჩევნო სოლეტი თათბირზე დასასწრებლად აირჩია თავისი 52 წარმომადგენელი, რომლებსაც დაავალა მხარი დაუჭირონ ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის კანდიდატურას.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით, აოტაცებული ოვაციით მიიღეს მხარეს სსრ კავშირის სახალხო კომისარი საბჭოს თავმჯდომარის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინისადმი.

* * *

ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს აგრეთვე კლარა ცეტკინის სახელობის მოსკოვის სამკერვალო ფაბრიკის, მოსკოვ-კურსკის რკინიგზის 1-ლი დეპოს, ბაუმანის სახელობის მოსკოვის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის, ანდრეევის სახელობის სმოლენსკის სელის კომბინატის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივებმა, გორკის, კიშინიოვისა და ბელენი სხვა ქალაქის მშრომელებმა (საკდესი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. სურათზე: აკადემიის კოლექტივის კრება, დეპუტატების კანდიდატის წაროდგენისადმი.

მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ფოტო რ. აკოფოვისა.

ნ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა
ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში გუშინ 1.500-ჯერ ამოძახილეულმა ტოიყარა თავი.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კრებას, მიძღვნილ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი, მოკლე შესავალი სტატეთი ხსნის პარტბიუროს მდივანი გ. ჩაგელიშვილი.

ხანგრძლივი, მჭეხარე ტაშით კრება სპპატიო პრეზიდიუმში აირჩეს ხალხთა ბელადს დიდ სტალინს, აგრეთვე ამხანაგებს ბოლოტოვს, ეოროშილოვს, კალინინს, კაგანოვიჩს, ანდრეევს, მიქოიანს, ედანოვს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს, მალენკოვს, ვოზნესენსკოს, ჩარკვიანს, ბაკრაძეს.

სიტყვას იღებს დოცენტი ნ. ლაჭკეპანინი.

— ჩვენი ხალხი, — ამბობს ის, — უდიდესი აღფრთოვანებით ეშზდება ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ დიდი სტალინის უანლოს თანამებრძოლს, ქართველი ხალხის სამაყო შვილს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.**

ამხანაგი ბერია მთელი რიგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხებს. მან დანერგა სტალინური მუშაობის სტილი, აღზარდა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ამხანაგ ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით საქართველო, ერთიან ძმურ სამეშოთა ოჯახში გაერთიანებული, გაიფურჩქნა და აყვავდა.

ქართველი ხალხი, ამიერკავკასიის სხვა ხალხებთან ერთად, თავისი თავისუფლებით შენარჩუნებას უმადლის დიდ სტალინს, მის ერთგულ მოწაფეს ამხანაგ ბერიას. არასოდეს არ ეშინეა დავიწყებული 1942 წლის შეთოდგომის მძიმე დღეები, როცა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები მოადგნენ კავკასიონის მთებს. ამ საბედისწერო ჟამს ჩვენთან მოვიდა ამხანაგი ბერია, როგორც დიდი სტალინის წარმოგზავნილი, და გენიალური ხელმძღვანელობა გუგმით მოაწყო მტრის განადგურება კავკასიონის მისადგომებზე, იხსნა ამიერკავკასიის ხალხები ფაშისტური მონობისაგან.

ჩვენი ინსტიტუტი ამაყად ატარებს ამხანაგ ბერიას სახელს და პირობას იძლევა კვლავ მთელი ენერგიით იმუშაოს საქართველოს აყვავებული სოფლის მეურნეობისათვის აგრონომიული კადრების მოსამზადებლად.

დამსწრენი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ამხ. ლაკეკეპანის წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ. ლ. პ. ბერიას წამოყენების შესახებ.

სიტყვით გამოვიდა პროფესორი ლ. კალანდაძე, რომელმაც მხურვალედ დაუჭერი მხარი დოცენტ ლაკეკეპანის წინადადებას.

— ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით, — ამბობს ამხ. ლ. კალანდაძე— საბჭოთა საქართველოში უმაგალითოდ განვითარდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, აყვავდა მეცნიერება და კულტურა, აღიზარდა და გამოიწრთო კომეფნიშის შენაგებელთა მრავალი ათასობით ახალგაზრდა კადრები, რომელთაც დაუფლალად მუშაობენ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ამხანაგი ბერია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია.

დოცენტმა ა. გაჩეჩილაძემ, სტუდენტმა გ. ყრუაშვილმა, ასისტენტმა ე. მელქაძემ, სტალინურმა სტიპენდიანტმა სტუდენტმა ა. ბარბაქაძემ მხარი დაუჭიეს ქართველი ხალხის მოამაგის, ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას კანდიდატურას.

ერთსულოვნად მიღებულ დადგენილებაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კრება კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს შეუდრეკელ ბოლშევიკს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთერთ თვალსაჩინო მოღვაწეს, ქართველი ხალხის ერთგულ შვილ — ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას და სთხოვს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ბერიას სახლთან № 556 საარჩევნო ოლქში.

დასასრულ სარაინონ წინასაარჩევნო კრებაზე წარმომადგენლებად არჩეულ იქნა 20 ამხანაგი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა
კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

აკადემიაში შეიკრიბნენ აღამიანები, რომლებიც თავიანთი დაუცხრომელი ძიებით წინ სწევენ საბჭოთა მეცნიერებას. აქ არიან აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარომომადგენლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი მიძღვნილ კრებას ხსნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. კეკუბავა.

— პროფესორ დოლიძის წინადადებით კრების საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ბ. ახალეფიანი, ა. ჯანელიძე, ნ. კეკუბავი, პროფესორები ი. ვეკუა, ა. ხარაძე, ამხ. ა. გიგოშვილი, დოცენტი ნ. ძახარაძე, ამხ. ა. მელიქიშვილი და სხვ.

პროფესორ ვეკუას შემოაქეს წინადადება სპპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

— საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ამხანაგი სტალინი!

კრების მონაწილეები ფეიზზე დგებიან. გაისმის მეჭეხარე ხანგრძლივი ტაში დიდი ბელადის, მეცნიერებისა და კულტურის უდიდესი მოამაგის ამხანაგ სტალინისა პატივსაცემად.

სპპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ აგრეთვე ამხანაგები მოლოტოვი, კალინინი, ეოროშილოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ედანოვი, ხრუშჩოვი, მიქოიანი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, ვოზნესენსკი, ჩარკვიანი და ბაკრაძე.

სიტყვა ეძლევა დოცენტ ნ. მახარაძეს.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნების შემდეგ ჩვენმა ქეკეყანამ სახელოვანი გზა განვლო. ეს პერიოდი აღსავსეა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით. მოპოვებულია უდიდესი წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების დარგში. ჩვენი ქეკეყნის ძლიერება განსაკუთრებული სიცხადით გამჟღავნდა დიდი სამამული ომის პერიოდში. ჩვენმა ხალხმა, ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით ვაანადგურა ომის კერები დასავლეთსა და აღმოსავლეთში. საბჭოთა კავშირმა იხსნა მსოფლიო კულტურა და ცივილიზაცია განადგურებისა და დაღუპვისაგან. ამგვარად გამარჯვებული საბჭოთა ხალხი ეშზდება თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. საარჩევნო კამპანია ახალ ტალღაზე შედის. დადგა დრო, როცა ჩვენ უნდა შეგვაყენოთ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები, საბჭოთა საშშობლოს სახელოვანი შვილები, ადამიანები, რომლებიც ბოლშოდ ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის დიადი საქმისა.

სიტყვა წინადადებისათვის ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს გ. ახალეფიანს.

— წინადადება შემოაქეს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაგაასახელოთ საქართველოს ბოლშევიკების სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

ამხანაგი ჩარკვიანი ლენინ-სტალინის პარტიის ღირსეული შვილია. იგი გენიოლოგად ემსახურება შრომელ ხალხს. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს მეშვბმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ სამამული ომის უმძიმეს წლებში ბრწყინვალედ ჩაბარეს ჯამოცდა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს მტრის განადგურების საქმეში. ამხანაგი ჩარკვიანი დაუღალავად ზრუნავს ქართული კულტურის, მეცნიერების გაფურჩქვნა-აყვავებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. ჩიქობავამ, რომელმაც მხარი დაუჭირა აკადემიკოს ახალდიანის წინადადებას, სთქვა:

— ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის წილად ხვდა რთული, პასუხსაგები და სპპატიო საქმე—განვგრძო ჩვენი ქვეყნის კულტურულ-საშეურნეო აღორძინების ის ხაზი, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელთან. ამ საქმეს ამხანაგი ჩარკვიანი სასახელოდ უძღვება. განსაკუთრებით დიდი მეშობა გასწია მან სამამულო ომის დღეებში.

ამხანაგ ჩარკვიანის დამსახურება საშშობლოსა და პარტიის წინაშე საბჭოთა მთავრობამ არაერთგზის აღნიშნა მისთვის მაღალი ჯილდოების მინიჭებით.

ამხანაგი ჩარკვიანი დიდ ყურადღებას აქცევს კულტურისა და მეცნიერების მეშაკებს, ყოველმხრივ ხელს უწყობს მათს ზრდასა და დაწინაურებას.

სიტყვას იღებს აკადემიკოსი ა. ჯანელიძე.

— მეცნიერებათა აკადემიის მთელი კოლექტივი,—ამბობს იგი,—აღფრთოვანებით დაუჭერს მხარს წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს ბოლშევიკების ერთგულს შრომელთა ხელმძღვანელს ამხანაგ ჩარკვიანის წამოყენების შესახებ.

ამხანაგ ახალდიანის წინადადებას მხარი დაუჭირა აგრეთვე პროფესორმა ა. ხარაძემ.

კრებას დაადგინა ეთხოვოს ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს თანხმობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ბერიას სახლთან № 556 საარჩევნო ოლქში.

ჯყიბუნელელმა მეშახტეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს
ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე

ტყიბული (ტელეფონით „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ტყიბულის მეშახტეთა ცენტრალური კლუბში შესდგა ახალი შახტების მშენებელთა წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი.

კრება გახსნა ტყიბულის ახალი შახტების მშენებლობის პარტბიუროს მდივანმა გრ. როინიშვილმა.

კრების თავმჯდომარე სიტყვას აძლევს საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანს ე. ჯვებეხავას.

— საქართველოს მეშახტეთა წარმატებები, — ამბობს ამხ. ჯვებეხავა, —შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ჩვენს დიდს კოლექტივს ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო. ორატორი მოუწოდებს დამსწრეებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელონ ჩვენი დიდი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ერთგული შვილები.

ტრიბუნაზე ადის ორდენოსანი მეშახტე ვასილ ბარტნოვი. იგი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს ტყიბულელ მეშახტეთა შორის. მას შემოაქეს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე. ამ წინადადებას დამსწრენი ტაშით ხვდებიან.

— დიდი სამამული ომის წლებში, — ამბობს ამხ. ბარტნოვი, — საქართველოს მშრომელებმა ყველაფერი გააკეთეს ეერაგ ჭტერზე ჩვენი გამარჯვებისათვის. ამაში მნიშვნელოვანი დამსახურება მოუძღვის ამხანაგ ვალერიან მინას-ძე ბაქრაძეს.

ტრიბუნაზე ასული ორდენოსანი მეშახტე ეროეინ ბაბაევი ამბობს: ტრიბუნაზე არის ორდენოსანი მთრეული ბალეა ცქიტაძე. იგი მხარს უჭერს ამხ. ბარტნოვის წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვალერიან მინას-ძე ბაქრაძის დასახელების შესახებ.

სტახანოველი მეშახტე მიხეილ პიჩუნინი, ინჟინერი მიხეილ ჩიჩუა, ინჟინერი ნიკოლოზ კობახიძე, შახტების მშენებლობის ტრესტის მმართველი ბალეა ცირეკიძე ერთსულოვნად უჭერენ მხარს ამხ. ბარტნოვის წინადადებას.

მეშახტეთა კრებამ ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო სთხოვოს ამხანაგ ვალერიან მინას-ძე ბაქრაძეს დათანხმდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვალერიან მინას-ძე ბაქრაძის დასახელების შესახებ.

მეშახტეთა კრებამ ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღო სთხოვოს ამხანაგ ვალერიან მინას-ძე ბაქრაძეს დათანხმდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 562 საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

მიქოიანის სახელობის თბილისის ხორცკომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკუმის კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს

ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი

ვეშინ, ნაშუადღევის 4 საათზე თბილისის ხორცკომბინატის 400-მდე მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკოსი შეიკრიბა კომბინატის კლუბის დარბაზში.

კომბინატის დირექტორი მ. ყარაყარაშვილი კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი მიძღვნილ სიზეიმი კრებას გახსნილად აცხადებს.

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ შემოდის წინადადება არჩეულ იქნას საპატიო პრეზიდიუმი.

— სტალინი!

დიდხანს გრძელდება მუეხარე ტაში. ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

მეეხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ აგრეთვე ამხანაგები მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ანდრეევი, ჟდანოვი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, მალენკოვი, ეოზნესენსკი და ჩარკეიანი.

სიტყვას იღებს პარტბიურის მდივანი ამხ. ასლანიანი.

— ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ გენერალისიმუს სტალინის ხელმძღვანელობით გმირული ბრძოლების შედეგად გაანადგურა ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის ბნელი ძალები,—ამბობს იგი. ოთხი წლის განმავლობაში სჭედდა საბჭოთა ხალხი მტერზე გამარჯვებას.

ჩვენ გამარჯვებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ ადამიანს, რომელს სახელს ჩვენი საწარმო ატარებს. ამხანაგ

სოფლეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის, აკადემიკოსთა, პროფესორთა და მეცნიერ მუშაკთა კრებამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა

ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი

ერევანი, 2 იანვარი. (საკუთრი). დღეს აქ შესდგა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელთა საერთო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი. კრებამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენა ამხანაგ სტალინის ერთგული თანამებრძოლი, ბოლშევიკური პარტიის უადერესად გამოჩენილი მოღვაწე, სსრ კავშირის საბჭოსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი.

კრებაზე გამოსულმა ორატორებმა ამხ. მიქოიანი დაახასიათეს, როგორც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ბევრი რამ გააკეთა სომხეთის სსრ შესაქმნელად და განსამტკიცებლად, ხოლო შემდგომს წლებში დიდ სახელმწიფოებრივ და პარტიულ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. აღნიშნული იყო ამხ. მიქოიანის დამსახურება დიდი სამამულო ომის წლებში.

სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა, პროფესორთა და მეცნიერ მუშაკთა კრებამ ერთხმად გადასწყვიტა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენოს ამხ. ა. ი. მიქოიანი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ-ᲫᲔ ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ-ᲫᲔ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ

თაშპაკის პირველი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანდიდატების დასახელებისადმი, გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ნაზარეტიანმა. მან სიტყვა მისცა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანს ამხ. ტატიშვილს.

მეეხარე ტაშით ხვდებიან დამსწრენი ორატორის სიტყვებს, როცა იგი ლაპარაკობს ხალხთა დიდ ბელადზე, ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინზე, ვისი წინამძღოლობით ჩვენმა სამშობლომ მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი.

სიტყვა წინადადებისათვის ეძლევა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანს ე. ბაბაევას. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს დიდი სტალინის თანამებრძოლს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევს.

ამხ. ბაბაევას წინადადებას კრების მონაწილენი მეეხარე ტაშით ეგებებიან.

ფაბრიკის მექანიკოსი ვ. ავაკოვი მხარს უჭერს ამხ. ბაბაევას წინადადებას და ამბობს: ჩვენი ფაბრიკის კოლექტივს წილად ხვდა დიდი პატივი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელოს დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხანაგი ანდრეევი.

უპარტიო ინჟინერმა ამხ. კეკელიამ წარმოსთქვა მხურვალე სიტყვა და მხარი დაუჭირა წინადადებას. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ამხ. ამოიანი.

კრებამ ამხანაგ ა. ა. ანდრეევს სთხოვა თანხმობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კენჭი იყაროს სსრ კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინს № 555 საარჩევნო ოლქში.

სიტყვას იღებს ფაბრიკის დირექტორი თ. როსტომაშვილი. მას წინადადება შეაქვს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას თბილისის პირველი სტანანოველი მეეხელი, ამყამად ᲡᲐᲠᲛᲝᲛᲔᲚᲘ დეპუტატების კ. თბილისის ლენინის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ლენინის ორდენოსანი დავით ალექსის-ძე ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ.

ფაბრიკის მექანიკური საამქროს წარჩინებული ოსტატი უპარტიო ამხ. თაკაიშვილი მხარს უჭერს ამხ. როსტომაშვილის წინადადებას.

სტანანოველმა მუშამ ა. ჯანგველაძემ და ოსტატმა ი. ბალარაკაშვილმა მხარი დაუჭირეს დ. ა. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡ კანდიდატურას და დაახასიათეს იგი, როგორც ლენინ-სტალინის პარტიის, საშობლოს ერთგული ადამიანი.

კრებამ სთხოვა დ. ა. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡ დასთანხმდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის სტალინის № 120 საარჩევნო ოლქში.

სტალინის რაიონის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე გასაგზავნად არჩეულ იქნა 10 კაცი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲭᲧᲝᲕᲔᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲩᲮᲣᲑᲘᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

3 იანვარს, შესდგა ლენინის სახელობის თბილისის ტყავეულის პირველი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი.

ქარხნის პარტბიუროს მდივანი რ. მალაიანი კრებას გახსნილად აცხადებს.

საპატიო პრეზიდიუმში არჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგებს ჩარკეიანს, ბაკრაძეს და სტეფრას.

სიტყვა ეძლევა ქარხნის დირექტორს გ. ბაზარაძეს. იგი ამბობს:

— ბედნიერ დღეებს განიცდის ჩვენი ქეყანა. გამარჯვებული საბჭოთა ხალხი კანონიერი სიამაყის გრძნობით ეგებება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. საბჭოთა კავშირის მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებენ რჩეულთა შორის რჩეულებს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს.

დღეკანდღეი ჩვენი კრების მიზანიც სწორედ ეს არის. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 26 ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲘᲚᲘᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲛᲐᲚᲔᲜᲙᲝᲕᲘ

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები, სამუშაოს დამთავრებისთანავე უკლებლივ შეგროვდნენ კლუბში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასასახელებლად.

კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. მალხასიანმა.

სიტყვა აიღო საქარხნო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შ. გეველესიანმა.

— დღევანდელი ჩვენი კრების მიზანია, — სთქვა მან, — შევარჩიოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ჩვენი საარჩევნო ოლქისაგან.

სანამ დავასახელებდეთ კანდიდატურას, საჭიროა გავიხსენოთ, თუ რა დიდ განსაცდელში იყო ჩვენი ქეყანა, როდესაც მუხანათი და ავაზაკი ჰიტლერი ქურდულად თავს დაგეგეხა. მთელი ჩვენი კოლექტივი დაუღალავად მუშაობდა, რათა დაბპარებოდა წითელ არმიას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად. ჩვენ გვიფრთოვანებდა და ენერგიას გვმატებდა ხალხთა ბელადი დიდი სტალინი, ჩვენ გვხელმძღვანელობდა ლენინ-სტალინის დიდი პარტია.

ლენინ-სტალინის პარტია, დიდი სტალინი გვრაზმავდნენ გამარჯვების მისაღწევად. კიდევაც გავიმარჯვეთ. ჩვენი სამშობლოს მოსისხლე მტრები რიგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში განადგურებული არიან.

ჩვენი პატრიოტული ვალია, მომავალშიც ვიყოთ ერთგული ლენინ-სტალინის საქმისა. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი საარჩევნო ოლქისაგან დავასახელოთ ხალხის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანი, დიდი სტალინის თანამებრძოლი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს წევრი, სოციალისტური შრომის გმირი ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.

ტაშმა დაფარა ორატორის სიტყვები.

გ. მ. მალენკოვის დასახელებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მხურვალედ დუჭირეს მხარი უპარტიო მუშებისა და მოსამსახურეების სახელით ნ. კვინიკაძემ, ინჟინერ-ტექნიკოსთა სახელით ინჟინერმა ვ. კაპატაძემ, ახალგაზრდა სტანანოველების სახელით მ. ბერეკაშვილმა, ხუთასოვან და ათასოვან სტანანოველთა სახელით ათასოვანმა შეკალაშემ ი. მირზოევემ და ქარხნის მთელი ინტელიგენციის სახელით ა. მელაძემ.

— გაუმარჯოს ჩვენს კანდიდატს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ მალენკოვს! — გაისმოდა დარბაზში შეძახილები და შეკრებილნი მხურვალე ტაშით გამოხატავდნენ თავიანთ ამყოფოფილებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ გ. მ. მალენკოვის დასახელების გამო.

მანქანათმშენებლებთა კრებამ მიიღო დადგენილება მიმართონ თბოეწინი ამხანაგ გ. მ. მალენკოვს, რათა დასთანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 555 საარჩევნო ოლქში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲩᲐᲡᲪᲛᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲘᲚᲘᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲛᲐᲚᲔᲜᲙᲝᲕᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲒᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ

თბილისის ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებისადმი, გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრა დავიდოვამ.

საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, სიტყვა აიღო ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა მიხეილ არეშიძემ. მან ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებსაც ჩვენმა ქეყანამ მიაღწია დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა სტახანოველ მ. თოდრიას.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობს იგი, — კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენებულ იქნას დიდი სტალინის თანამებრძოლი, ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგული შვილი ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.

დარბაზში ამ წინადადებას მეეხარე ტაშით შეხვდა.

ამხ. თოდრიას წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ი. ავაკოვმა, ლ. პალიანმა და გ. ტერ-ოგანეზოვმა.

ტრიბუნაზე ადის სტახანოველი ა. ოკოროკოვი.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობს იგი, — ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაგასახელოთ პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს საამქროს უფროსმა სიმონ კენჭაძემ, სტახანოველებმა მ. ნარიმანიშვილმა, ა. ოგანეზოვმა და სხვებმა.

კრებას მონაწილეებმა ამხანაგ გ. მ. მალენკოვს გადაგზავნეს მიმართვა და სთხოვეს თანხმობა კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 555 საარჩევნო ოლქში.

მიმართვა გადგზავნა ამხანაგ გ. ა. გოჩაშვილს—დათანხმდეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის 26 კომისრის სახელობის № 121 საარჩევნო ოლქში.

კრებამ თბილისის მოლოტოვის რაიონის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე გასაგზავნად აირჩია თავისი წარმომადგენელი.

Ბ-Ნ ᲑᲔᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ Ვ. Მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ვტოვებ რა საბჭოთა კავშირს, გიგზავნით ამ წერილს მხურვალე მადლობის გამოხატულებით იმ დიდსულოვანი სტუმართმოყვარეობისათვის, რაც თქვენ და თქვენმა კოლეგებმა ესოდენ თავაზიანად გაგვიწიეთ მე და ბრიტანეთის დელეგაციას მოსკოვში.

მე მგონია, რომ კონფერენცია, რომელიც თქვენ, ბ-ნმა ბირნსმა და მე ეს—არის დავამთავრეთ, მნიშვნელოვანი ეტაპია მტკიცე მშვიდობიანი მოწყობის გზაზე, რასაც კაცობრიობა მოწყურებულია.

ყოველგვარი კეთილი სურვილით

ერნესტ ბევინი

Ბ-Ნ ᲑᲘᲠᲜᲡᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ Ვ. Მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ვტოვებ რა საბჭოთა კავშირს, მსურს გულწრფელი მადლობა გამოვთქვა იმ მრავალი თავაზიანობისათვის, რაც მე და ჩემს კოლეგებს საბჭოთა მთავრობამ და პირადად თქვენ გაგვიწიეთ მოსკოვს ჩვენი ყოფნის დროს.

ხომ არ ინებებდით გამოგეჩინათ თავაზიანობა და ჩემი მადლობა გადაგეცათ აგრეთვე გენერალისიმუს სტალინისათვის მისი თავაზიანობისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

ჯეიმს ფ. ბირნსი

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲮᲔᲪᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ლენინგრადი, 29 დეკემბერი. (საკდესი). დილის სხდომა დაიწყო ბრალდებულ სკოტკის, „საგანგებო დანიშნულების“ ბატალიონის სამხედრო მოსამსახურის დაკითხვით. სკოტკიმ სამხედრო და პოლიტიკური მომზადება გაიარა ჯერ კიდევ „ჰიტლერული ახალგაზრდობის კავშირში“, რომლის წევრადაც იგი ირიცხებოდა. სკოტკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მშვიდობიან საბჭოთა სოფლებზე ფაშისტ დამსჯელთა თავდასხმებში. დამსჯელებმა ოცზე მეტი სოფელი დასწვეს ფსკოვ-ლუგისა და ოსტროვ-ოპოჩკის რაიონებში. ცეცხლში დაიღუპა სოფლები ბუკინო, პოდბოროვიე, მილიუტინო და მრავალი სხვა. მარტო ამ სოფლებში სკოტკიმ პირადად გადასწვა ორმოცამდე სახლი და დახვრიტა ოცდაათი მშვიდობიანი მოქალაქე.

სკოტკი ჩამოსთვლის თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის კონკრეტულ ფაქტებს და აჩვენებს:

— 1943 წლის დეკემბერში მონაწილეობა მივიღე 120 მიწურის მოსპობაში, სადაც სამოქალაქო მოსახლეობა იმყოფებოდა. ჩვენ აღმოვაჩენდით ხოლმე მიწურებს, ვერეკებოდით იქიდან მცხოვრებლებს და ვხვრეტდით, ხოლო იმათ, ვინც მიწურებიდან არ ამოდიოდა, გრანატებს ვუშენდით ანდა ნაღმებით ვაფეთქებდით.

1943 წლის ნოემბერში ფსკოვის ახლოს სკოტკი მონაწილეობდა 120 მამაკაცისა და ქალის დახვრეტაში; 1944 წლის იანვარში ფსკოვსა და ლუგას შუა მდებარე სოფლებში გადასწვა 15-20 სახლი და დახვრიტა 60-მდე კაცი, რომელთა შორის იყვნენ ქალები და ბავშვები; 1944 წლის თებერვალში პლიუსის რაიონში მონაწილეობდა 80 კაცის დახვრეტაში.

1944 წლის მარტში საბჭოთა მეურნეობა „ანდრომერში“ მონაწილეობდა 25 სახლის გადაწვასა და 40 მამაკაცისა და ქალის დახვრეტაში.

შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული **გერერი**, დამსჯელი რაზმი „აინგრიფი“, რომელშიც იგი 1944 წლის დამდეგს მსახურობდა, მოქმედებდა სლავკოვიჩის რაიონში. დამსჯელები შეიჭრებოდნენ მშვიდობიან სოფლებში, ძალით ერეკებოდნენ მცხოვრებთ გერმანულ კატორღაში, ხვრეტდნენ მოხუცებს, ქალებს, იტაცებდნენ მათს ქონებას. გერმანელების წასვლის შემდეგ სოფლების ადგილას ნანგრევები და ნახანძრალი რჩებოდა. მარტო ამ რაიონიდან, როგორც ბრალდებული აჩვენებს, 600-მდე საბჭოთა მოქალაქე გარეკეს გერმანიაში.

— ვის გზავნიდნენ გერმანიაში? — ეკითხება სახელმწიფო ბრალმდებელი.

— გერმანიაში მიერეკებოდნენ ყველა შრომისუნარიანს, — აჩვენებს გერერი.

ასეულმა, რომელშიც გერერი მსახურობდა, 250-მდე მშვიდობიანი მოქალაქე დახვრიტა სლავკოვიჩის რაიონში.

დანაშაულობათა ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს შორის გერერი ერთ-ერთი ყველაზე მძვინვარე იყო. 14 დამსჯელი ოპერაციის დროს, რომლებშიც იგი მონაწილეობდა სლავკოვიჩის რაიონში, ბრალდებულმა პირადად დახოცა 100-მდე მშვიდობიანი მოქალაქე.

— ვინ იყვნენ თქვენ მიერ დახოცილი ადამიანები — ეკითხება სახელმწიფო ბრალმდებელი.

— მოხუცები და ქალები, — უპასუხებს ბრალდებული.

ბრალდებულ გერერის დაკითხვით მთავრდება დილის სხდომა.

29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ლენინგრადი, 29 დეკემბერი. (საკდესი). საღამოს სხდომაზე პირველი დაჰკითხეს ბრალდებული **ზონენფელდი**, გერმანიის არმიის ლეიტენანტი, 322-ე ქვეითი პოლკის განსაკუთრებული ჯგუფის ყოფილი მეთაური.

ზონენფელდი ფაშისტური სარდლობის დანაშაულებრივ ბრძანებათა რიგითი შემსრულებელი როდია. მას უმაღლესი განათლება აქვს, იგი არის ინჟინერ-მშენებელი. ვიდრე აღმოსავლეთის ფრონტზე მოხვდებოდა, მან სპეციალური მომზადება გაიარა. აღმოსავლეთის ფრონტზე ზონენფელდი მალე დამსჯელი ჯგუფის მეთაურად დაინიშნა. ეს ჯგუფი მისი ხელმძღვანელობით სწვავდა სოფლებს, ხოცავდა ქალებს, მოხუცებსა და ბავშვებს.

უცილობელ მხილებათა გამო ბრალდებული იძულებულია აღიაროს, რომ იგი პირადად მონაწილეობდა მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანების მოსპობაში. იგი ადასტურებს, რომ სოფელ ლიადში დახვრიტეს 35-მდე მოქალაქე, უმთავრესად ქალები და ბავშვები, სოფელ ზაპოლიეში — 45-მდე კაცი. მოკლულთა ქონება დაიტაცეს. ზონენფელდი ადასტურებს აგრეთვე, რომ ორჯერ მიიღო პირადად მონაწილეობა უმწეო მშვიდობიანი ადამიანების დახვრეტაში.

სულ სოფელში, სადაც მისი სადამსჯელო რაზმი მოქმედებდა, ბრალდებულის ჩვენებით დახვრიტეს ასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის 30-მდე ბავშვი.

სასამართლო გამოძიების დროს ჩვენებას იძლევა ბრალდებული **იანიკე**, რომელიც ზონენფელდის ჯგუფში შედიოდა. მან განაცხადა, რომ ზონენფელდი პირადად მონაწილეობდა სოფელ ნიკოლაევ-ბროდის მახლობელ ტყეში 50 საბჭოთა მოქალაქის დახვრეტაში.

შემდეგ სასამართლო იწყებს ბრალდებულ ვიზეს დაკითხვას.

ოცი წლის ვიზე ნებაყოფლობით შევიდა გერმანიის პოლიციის სამსახურში. კილში სპეციალური სკოლის დამთავრების შემდეგ, იგი რამდენიმე წელს მსახურობდა პოლიციაში. გერმანიის არმიაში ნებაყოფლობით შესვლის შემდეგ, იგი მსახურობდა გერმანელთა მიერ დაპყრობილ ჰოლანდიაში, შემდეგ კი აღმოსავლეთის ფრონტზე გადაიყვანეს.

წინასწარი გამოძიების მასალები და სხვა ბრალდებულთა ჩვენებანი მოწმობენ, რომ ვიზე, როცა „საგანგებო დანიშნულების“ ბატალიონის ასეულის მეთაური იყო, მონაწილეობდა მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების გაჟლეტაში, ქალაქ ოსტროვის რაიონში დასახლებული პუნქტების გადაწვაში. მიუხედავად მისი მამხილებელი დოკუმენტებისა და ჩვენებებისა, ვიზე თავს დამნაშავედ არა სცნობს არც წინასწარი გამოძიების დროს და არც დღევანდელი დაკითხვის დროს. მაგრამ ბრალდებულთა სკამებიდან წამოდგნენ სკოტკი, შემდეგ შტრიუფინგი, დიურე, ბემი, იანიკე და ისინი იძლევიან ჩვენებას, თუ რა სადამსჯელო მოქმედებას სჩადიოდა ასეული, რომელსაც ვიზე მეთაურობდა. კერძოდ, ბრალდებული სკოტკი აჩვენებს, რომ ვიზე ხელმძღვანელობდა სოფლების დაწვასა და მოქალაქეთა დახვრეტას.

— მე დავინახე, რომ ვიზე პირადად ხვრეტდა რუს მოსახლეობას, — ამბობს სკოტკი.

ვიზე კვლავ უარს ამბობს ყველაფერზე. წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ზოგიერთ თავის ჩვენებაზეც კი. კერძოდ, იგი ცდილობს უარჰყოს, რომ მისი ასეულის ჯარისკაცები მოსახლეობასართმევდნენ პურს, პროდუქტებსა და პირუტყვს. მაგრამ ჯვარედინი დაკითხვის დროს იგი იძულებულია აღიაროს ეს ფაქტი.

ბრალდებულ ვიზეს დაკითხვით დამთავრდა საღამოს სხდომა.

30 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ლენინგრადი, 30 დეკემბერი. (საკდესი). დილის სხდომა იწყება ბრალდებულის გერმანიის არმიის გენერალ-მაიორ **რემლინგერის** დაკითხვით.

თავისი სიცოცხლის 63 წლიდან მან 43 წელიწადი გერმანიის არმიაში იმსახურა.

მას შემდეგ, რაც ჰიტლერი სათავეში მოექცა ხელისუფლებას, ბრალდებული ერთგულად და გულმოდგინედ ემსახურებოდა ფაშისტურ რეჟიმს. 1936-დან 1943 წლამდე იგი ტორგაუს პირველი სანიმუშო სამხედრო საპყრობილის უფროსია. ჯალათის ამ თანამდებობაზე რომ დადგა, რემლინგერი პოდპოლკოვნიკი იყო, ხოლო იქიდან გენერლის ხარისხით წავიდა. მისი საკუთარი სიტყვით, იგი ტორგაუში დაინიშნა „როგორც საუკეთესოდ აღზრდილი ოფიცერი“. ჰიტლერელი მეთაურები აფასებდნენ რემლინგერს, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მხოლოდ ომის განმავლობაში რემლინგერმა ფაშისტური მთავრობისაგან მიიღო მეორე კლასის ორი რკინის ჯვარი და პირველი კლასის ორი ჯვარი, მათგან ერთი ხმლებით.

1943 წლის აგვისტოში რემლინგერი იგზავნება გერმანელების მიერ ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე და ინიშნება ჯერ ოპოჩკის კომენდანტად, შემდეგ კი ფსკოვის კომენდანტად.

წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლო პროცესის ორმა დღემ ცხადჰყო, რომ რემლინგერი ფსკოვის ოლქში საშინელ ბოროტმოქმედებათა ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო. თავის ხელქვეით დამსჯელთა დახმარებით იგი ფაშისტურ კატორღაში მიერეკებოდა ათეულ ათასობით საბჭოთა ადამიანს. იგი ბრძანებას იძლეოდა გადაეწვათ რუსთა სოფლები, დაეხვრიტათ მშვიდობიანი მცხოვრებნი, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ფსკოვის, ლუგისა და პლიუსის რაიონში გადამწვარი მრავალი ათეული სოფელი, ათასობით წამებული, დახვრეტილი, ცოცხლად დამწვარი ან გრანატებითა და ნაღმებით დაფლეთილი ბავშვი, ქალი, მოხუცი—აჰა რუსეთის მიწა-წყალზე ჯალათ რემლინგერის ბოროტმოქმედებათა ფაქტები.

ამ ფაქტების უარყოფა შეუძლებელია. სხვა ბრალდებულნი ზედიზედ უცხადებენ სასამართლოს, რომ ბრძანებანი დახვრეტის შესახებ, რომლებსაც მათ აძლევდნენ, ხელმოწერილი იყო რემლინგერის მიერ. მაგრამ ბრალდებული, ისევე როგორც პროცესის პირველ დღეს, ყოველნაირ ფანდებს მიმართავს და ცდილობს ყველაფერი უარჰყოს.

ცდილობს რა თავის გამართლებას, რემლინგერი აცხადებს, რომ კარამიშევოში, კრესტში, ნოვოსელიესა და მის გამგებლობაში მყოფ სხვა პუნქტებში კომენდატურები ისე მიერეკებოდნენ საბჭოთა ადამიანებს გერმანიაში და მხეცურად უსწორდებოდნენ მოსახლეობას, რომ მან ეს არ იცოდა.

— ისინი ზემოდან მიღებულ ბრძანებებს ასრულებდნენ,—აცხადებს რემლინგერი.

სახელმწიფო ბრალმდებელი: მაგრამ ბრძანებები, რომლებიც თქვენს ხელქვეითებს ეხებოდა, არ შეიძლებოდა თქვენც არ შეგხებოდათ?

ბრალდებული: დიახ.

სახელმწიფო ბრალმდებელი: მაშასადამე, თქვენ ასრულებდით ამ ბრძანებებს?

ბრალდებული: იმდენად, რამდენადაც ბრძანებები იყო, მე მათ ვასრულებდი.

დაკითხვის დასასრულს, სახელმწიფო ბრალმდებლისა და სასამართლოს თავმჯდომარის მიერ წინასწარი გამოძიების მასალების გამოქვეყნებისა და სხვა ბრალდებულების მიერ მხილების შემდეგ რემლინგერი დამნაშავედ სცნობს თავს მთელ რიგ ბოროტმოქმედებებში. იგი ადასტურებს, რომ მისი ბრძანებით პარტიზანების წინააღმდეგ მოწყობილი ექსპედიციების დროს დამსჯელი რაზმები ქლეტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ხვრეტდნენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს.

ᲑᲔᲠᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲙᲠᲐᲘᲝᲕᲐ ᲠᲐᲓᲐ ᲜᲐᲠᲝᲓᲝᲕᲐᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

ვარშავა, 1 იანვარი. (საკდესი). ვარშავის რადიო გადმოგვცემს, რომ კრაიოვა რადა ნაროდოვას სესიაზე გამოვიდა პრეზიდენტი ბ. ბერუტი, რომელმაც მიმართა დეპუტატებს და მოაგონა მათ, რომ „კრაიოვა რადა ნაროდოვა პირველად შეიკრიბა ორი წლის წინათ, ახალწლის ღამეს. ახლა, ომისა და ოკუპაციის ექვსი წლის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია კვლავ სიხარულით შევხვდეთ ახალ წელს მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირობებში“.

შეეხო რა პოლონელი ხალხის მიერ საბჭოთა კავშირისაგან მიღებულ დახმარებას, პრეზიდენტმა ბერუტმა ილაპარაკა პოლონეთის მადლიერების გრძნობებზე საბჭოთა კავშირისადმი და განაგრძო:

პოლონელ ხალხს სურს კიდევ უფრო განამტკიცოს მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენს დიდ მეზობელთან, სსრ კავშირთან და უაღრესად მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს დასავლეთის დიდ სახელმწიფოებთან — ინგლისთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, საფრანგეთთან და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან, ვინაიდან თანამშრომლობასა და ერთიანობაში ჩვენ ვხედავთ ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის აღდგენის საუკეთესო გზას.

ჩვენ კარგად უნდა დავუფიქრდეთ ყოველივე იმას, — სთქვა შემდეგ პრეზიდენტმა ბერუტმა, — რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ყველა სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებას: ჩვენ ძირფესვიანი სოციალური და პოლიტიკური რეფორმების პერიოდში შევედით. გერმანელმა დამპყრობლებმა სავსებით დაანგრიეს ომამდელი სახელმწიფო აპარატი და დაამყარეს თავიანთი საოკუპაციო მილიტარისტული და ტერორისტული რეჟიმი. ამ რეჟიმთა ნანგრევებზე მოგვიხდა ჩვენ პოლონეთის დემოკრატიული სახელმწიფოს ახალი წყობილების დამყარება. პოლონელმა ხალხმა ომის და ტერიტორიულ ცვლილებათა ძალით შესაძლებლობა მიიღო გადაექცია თავისი ქვეყანა მრავალეროვანიდან ერთეროვნად. ჩვენს ქვეყანაში მიწის რეფორმის გატარება დაიწყო დამოუკიდებლობის მიღებისთანავე. კრაიოვა რადა ნაროდოვამ მიიღო გადაწყვეტილება მსხვილი და საშუალო მრეწველობის, ტრანსპორტის, ბანკებისა და ელექტროსადგურების ნაციონალიზაციის შესახებ. ამრიგად, სახალხო მეურნეობა ნამდვილად გადადის მთელი საზოგადოების ხელში.

ცნობილია, რომ ზოგიერთი ჯგუფი, ემიგრანტული მთავრობის მომხრე, შენიშნა ბერუტმა, ცდილობდა დავერწმუნებინეთ, თითქოს პოლონეთში საჭიროა აღორძინებულ იქნას ომამდელი სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობა. ეს აუცილებლად გამოიწვევდა სამოქალაქო ომს.

ის ცვლილებები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა, იმის შედეგი იყო, რომ გაკოტრდა ძველი რეაქციული რეჟიმი, რომელმაც ჩვენი ხალხი სექტემბრის კატასტროფამდე მიიყვანა. ომისა და გერმანული ოკუპაციის შემდეგ აღორძინებული პოლონეთი არ შეიძლებოდა მოქცეულიყო ძველი პარტიებისა და ძველი ბელადების ხელმძღვანელობის ქვეშ, რომლებსაც ოდნავაც არ ესმით მთელ უდიდეს სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებათა არსი.

მათ არ ძალუძთ ჯეროვნად განიაზრონ მთელი უდიდესი ნგრევა და გაპარტახება, რაც ჩვენს ქვეყანას ჰიტლერელმა დამპყრობლებმა მიაყენეს. პოლონური რეაქცია სავსებით მოსწყდა ჩვენს სინამდვილეს. კრაიოვა რადა ნაროდოვას შექმნა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის სათავეში ახალი ადამიანების ჩადგომა ჩვენი შინაგანი ცხოვრებისა და საერთაშორისო მდგომარეობის ისტორიული აუცილებლობა იყო. ვაჯამებთ რა ორი წლის გამოცდილებას, ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კრაიოვა რადა ნაროდოვამ გამოცდა ჩააბარა და თავისი ამოცანების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

დღეს, კრაიოვა რადა ნაროდოვას არსებობის მეორე წლისთავზე, — განაცხადა შემდეგ ბერუტმა, — ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა პროგრამამ სრული გამარჯვება მოიპოვა. ეს გამარჯვება მოპოვებულია არა იმიტომ, რომ ჩვენ რაღაც სასწაულები მოვახდინეთ ანდა ძალადობა გამოვიყენეთ. კრაიოვა რადა ნაროდოვამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ თავისი არსებობის დასაწყისიდანვე იგი იცავდა მოსახლეობის არა ერთი ფენის ინტერესებს, არამედ მთელი ხალხის ინტერესებს. კრაიოვა რადა ნაროდოვამ მოუწოდა ხალხს გერმანელი ოკუპანტების მონობისაგან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად და სრული გამარჯვება მოიპოვა. ახლა შესასრულებელი დაგვრჩა ჩვენი პროგრამის მეორე ნაწილი — შესაძლებლობა მივცეთ პოლონელ ხალხს სწრაფად აღადგინოს თავისი ქვეყანა, განამტკიცოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული წყობილება, უზრუნველჰყოს ხალხის კეთილდღეობა და კულტურული განვითარების შესაძლებლობა. ჩვენ ამის მიღწევას შევძლებთ მხოლოდ იმ პირობით, თუ გადაჭრით უკუვაგდებთ რეაქციის ყველა გამოლაშქრებას და თუ შევძლებთ ხალხის დარაზმვას.

კრაიოვა რადა ნაროდოვამ, — სთქვა დასასრულ ბერუტმა,—უჩვენა პოლონელ ხალხს სწორი გზა განთავისუფლებისა და შემოქმედებითი ძალების დარაზმვისაკენ, აღორძინებული პოლონეთის რესპუბლიკის მშვიდობიანი მშენებლობისაკენ. ჩვენ აღთქმა უნდა დავდოთ, რომ ახალ წელს კიდევ უფრო შეხმატკბილებულად და სოლიდარულად გავწევთ ბედნიერების მიღწევის გზით, საყოველთაო მშვიდობისა და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის განმტკიცებისაკენ.

ᲙᲠᲐᲘᲝᲕᲐ ᲠᲐᲓᲐ ᲜᲐᲠᲝᲓᲝᲕᲐᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

ვარშავა, 1 იანვარი. (საკდესი). სესიის 29 დეკემბრის სხდომაზე პრემიერ-მინისტრ ოსუბკა-მორავსკის მიერ გაკეთებული მთავრობის ანგარიშის განხილვის შემდეგ დელეგატმა ობროჩნიმ სენიორენ-კონვენტის სახელით შეიტანა წინადადება მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ. წინადადება ყველა დელეგატის მქუხარე ტაშით იქნა მიღებული.

ოსუბკა-მორავსკის მოხსენების გამო გამართულ კამათში სესიის დელეგატები დიდი მოწონებით აღნიშნავდნენ პრემიერ-მინისტრის განცხადებას იმის შესახებ, რომ პოლონეთის მთავრობა ისწრაფვის უფრო მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს ჩეხოსლოვაკიასთან.

დელეგატმა ოდორკევიჩმა განაცხადა, ყველამ დიდი კმაყოფილებით მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ეროვნული ერთიანობის მთავრობის ინიციატივით საქმეებით მოგვარებულია ურთიერთობა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიას შორის მეგობრობისა და სამართლიანობის სულისკვეთებით.

დელეგატმა ვახოვიჩმა დაახასიათა საზოგადოებრიობის ზოგიერთი წრის დამოკიდებულება იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეფორმებისადმი, რომლებიც პოლონეთში ტარდება, და აღნიშნა, რომ დემოკრატიის სამოსელით ჯერ კიდევ იმალებიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ დააბრუნონ პოლონეთში ომამდე არსებული მდგომარეობა. ორატორმა მოუწოდა რეაქციონერებთან გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

საბოლოო სიტყვაში პრემიერი ოსუბკა-მორავსკი შეჩერდა სესიის დელეგატთა კრიტიკასა და წინადადებებზე, რომლებიც ეხება ეკონომიკას, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრების განვითარებას, აგრეთვე პოლონეთის პოლიტიკურ მდგომარეობას.

აღნიშნა რა დიდი დახმარება, რაც გლეხობას სახელმწიფომ გაუწია, ოსუბკა-მორავსკიმ მიუთითა, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია სამიწათმოქმედო სამმართველოთა მუშაობა იმის გამო, რომ ისინი რეაქციული ელემენტებით არიან დანაგვიანებული.

პრემიერ-მინისტრი დაეთანხმა, რომ საჭიროა მიღებულ იქნას გადაწყვეტილებანი ყველა უმაღლესი სასწავლებლის ნაციონალიზაციის შესახებ და განაცხადა, რომ ასეთი რეფორმები მოკლე ხანში იქნება გატარებული და რომ განათლების დემოკრატიზაციის გეგმა შემუშავებულ უნდა იქნას ისეთივე მასშტაბით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მიწის რეფორმისა და მრეწველობის ნაციონალიზაციის გატარების დროს.

ოსუბკა-მორავსკიმ განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანს ინტენსიური და ნაყოფიერი შრომისათვის ჯილდოების შემოღების მეოხებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა ტრანსპორტზე. რკინიგზები მთლიანად უზრუნველჰყოფენ ქვანახშირის გადაზიდვას. მთავრობა დიდ ენერგიასა და სახსრებს ანდომებს ნავსადგურების რეკონსტრუქციას. სწარმოებს მუშაობა ვარშავის აღსადგენად.

დიდი მუშაობა სწარმოებს,—სთქვა მან,—ჯანმრთელობის დაცვის დარგშიც. 1939 წლამდე 10 ათას მცხოვრებზე იყო 21 საავადმყოფო ადგილი, ამჟამად მცხოვრებთა ამავე რიცხვზე 36 ადგილი მოდის. ომამდე პოლონეთში ითვლებოდა სულ 74 ათასი საავადმყოფო საწოლი, ამჟამად კი 85 ათასია.

თავისი სიტყვის დასასრულს პრემიერ-მინისტრმა მოუწოდა მჭიდრო გაერთიანებისაკენ პოლონეთის უსწრაფესი აღდგენისათვის.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 2 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა გერმანიაში მოქმედი ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის თვალსაჩინო ექსპერტი, რომელიც მუშაობდა გერმანიის კარტელების მოქმედებისა და საზღვარგარეთ არსებული ანაბრების გამომკვლევ განყოფილებაში. მან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამ განყოფილების თვალსაჩინო წევრთა უმრავლესობა უკვე დაბრუნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გარდა დირექტორის მოადგილე ნიქსონისა, რომელიც ამჟამად წამოსასვლელად ემზადება. მისი სიტყვით, ამ პირებს განზრახული აქვთ დაიწყონ მოსახლეობაში და კონგრესის წევრებს შორის კამპანია „ზავის რბილი პირობების“ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც სამხედრო ადმინისტრაცია ატარებს.

ამ ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონტანის კომპანიის 11 ქარხნიდან (რომლებიც გერმანიის კონცერნმა ი. გ. ფარბენინდუსტრიმ მთავრობის სახსრებით ააგო), ამერიკის საოკუპაციო ზონაში არსებულმა 9 ქარხანამ უკვე განაახლა მუშაობა ანდა მათი შეკეთება სწარმოებს მუშაობის მალე განახლების მიზნით. ამჟამად მაინის ფრანკფურტის ახლოს მაინკურის გერმანულ ქიმიურ ქარხანაში მუშაობს 3.700 მუშა — 200 კაცით მეტი, ვიდრე 1944 წელს. ეს ქარხანა ქიმიკალიებს უშვებს და შეიძლება ადვილად იქნას გამოყენებული სამხედრო საჭიროებისათვის.

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

რომი, 31 დეკემბერი. (საკდესი). (მიღებულია დაგვიანებით). ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მყოფი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა მორგანმა გამოსცა მიმართვა ჩრდილოეთ იტალიის პროვინციების მოსახლეობისადმი. მიმართვაში გამოცხადებულია, რომ 1945 წლის 31 დეკემბერს 24 საათზე მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაცია აღნიშნულ პროვინციებში თავის მუშაობას სწყვეტს, გარდა ვენეცია-ჯულიის პროვინციისა და უდინეს პროვინციისა. ამ დროიდან იტალიის მთავრობა განაგებს აღნიშნულ ტერიტორიას, იმ უფლებათა დაურღვევლად, რომლებითაც გაერთიანებული ერები სარგებლობენ.

თავის მხრივ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დე გასპერიმ მანიფესტი გამოსცა იტალიელი ხალხისადმი. მანიფესტში აღნიშნულია, რომ გადმოცემულ ტერიტორიაზე მთელი სამთავრობო და სასამართლო ძალაუფლება გადადის იტალიის მთავრობის ხელში, გარდა იმ უფლებებისა, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერებისათვის. მთელ იმ მანიფესტებსა და ბრძანებებს, რომლებიც დღემდე გამოცემულია მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაციის მიერ, იტალიის მთავრობა სცნობს ისევე კანონიერი ძალის მქონედ, თითქოს ისინი გამოცემულნი იყვნენ იტალიის მთავრობის მიერ, თანახმად იტალიის კანონებისა, და ასეთებად უნდა იქნან ცნობილნი იტალიის ყველა სასამართლოს და მოხელის მიერ. იგივე ეხება მოკავშირეთა სამხედრო ტრიბუნალების მიერ გამოტანილ ყველა განაჩენს, რომლებიც არ შეიძლება გაუქმებულ ან შეცვლილ იქნან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სანქციონირებული იქნება მოკავშირეთა კომისიის მიერ. მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაციის ყველა იმ მოქმედებასა და ღონისძიებას, რაც დღემდე მიღებულია ზემოხსენებული დეკრეტების შესაბამისად, მათ შორის საზოგადოებრივ ან კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეების ყველა დანიშვნას ან პოსტებიდან მოხსნას, აგრეთვე სავალდებულოდ სცნობს იტალიის ყველა ინსტანცია.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ

რომი, 31 დეკემბერი. (საკდესი). იტალიის კომპარტიის მეხუთე ყრილობას, რომელიც 29 დეკემბერს რომში გაიხსნა, 1.800 დელეგატი ესწრება.

ოთხსაათიან მოხსენებაში ტოლიატიმ პარტიის ხელმძღვანელობის სახელით გააშუქა იტალიის საშინაო და საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა და დაახასიათა პროგრამა, რომლითაც კომპარტია დამფუძნებელ კრებაში გამოვა. ტოლიატიმ ჩამოაყალიბა კომპარტიის ამოცანები ფაშიზმის საბოლოოდ მოსპობის, ეროვნული განახლებისა და რესპუბლიკური დემოკრატიული პროგრესიული იტალიის შექმნისათვის ბრძოლაში. ტოლიატიმ განაცხადა, რომ იტალიის კომპარტიის წევრთა რიცხვმა ყრილობის გახსნის დროისათვის 1.760.000 კაცს მიაღწია.

რომი, 1 იანვარი. (საკდესი). რომის რადიოს ცნობით, გუშინ კომუნისტური პარტიის ყრილობის სხდომაზე აკვილას და ბორგო დი ნაპოლის დელეგატების სიტყვების შემდეგ მოისმინა სიცილიის კომუნისტური ორგანიზაციის მდივნის სიტყვა. უკანასკნელმა ასწერა ისტორია სეპარატიზმისა სიცილიაში და ხაზი გაუსვა, რომ სეპარატიზმს აქტიურად უჭერენ მხარს მიწის მსხვილი მესაკუთრეები, რომლებსაც ეშინიათ დემოკრატიის ახალგაზრდა ძალების გაძლიერებისა.

შემდეგ კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის წევრი და დამფუძნებელი კრების დეპუტატი კაზანოვა, რომელმაც ხაზი გაუსვა იტალიელ და ფრანგ ხალხებს შორის მეგობრობას, რაც კვლავ არსებობდა, მიუხედავად მუსოლინის დანაშაულებრივი აგრესიისა. კაზანოვას შემდეგ გამოვიდა ფროზინონის დელეგატი. მან აღწერა მძიმე მდგომარეობა, რომელშიც კასინოს რაიონის მოსახლეობა იმყოფება. შემდეგ გამოსულმა პავიის დელეგატმა განაცხადა, რომ პავიის მცხოვრებლები მზად არიან სტუმრად მიიღონ 200 კასინოელი ბავშვი.

სათათბირო კრების წევრმა ტერაჩინიმ ილაპარაკა საბჭოთა კავშირის ცხოვრების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი ადამიანი ყოველგვარი საშუალებით ცდილობს ცილი დასწამოს სოციალიზმის ქვეყანას და ამ მიზნით იყენებს მოსკოვის კონფერენციის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულ გადაწყვეტილებებსაც. მან მოიყვანა იტალიელ კომუნისტთა თვალსაზრისი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ. დასასრულ მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირში ნამდვილად არსებობს ჭეშმარიტი სახალხო დემოკრატია.

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲫᲘᲠᲒᲐᲛᲝᲛᲗᲮᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

რომი, 1 იანვარი. (საკდესი). მილანიდან მიღებული ცნობებით, გრძელდება არალეგალური ფაშისტური ორგანიზაციების ძებნა. არსებული ცნობების მიხედვით, არალეგალური ფაშისტური მოძრაობა იყოფა მთელ რიგ ჯგუფებად, რომლებსაც ეკუთვნიან ეგრეთწოდებული „ფაშისტურ-დემოკრატიული პარტია“, სამ-ის (სკუადრე აციონე მუსოლინი) რაზმები, რომლებიც ლომბარდიასა და პიემონტში მოქმედებენ, გამ-ის (აციონე მონარქიის ჯგუფის) რაზმები, რომლებიც აგრეთვე ჩრდილოეთის პროვინციებში მოქმედებენ, „სამხრეთ იტალიის მოქმედების პარტია“ (პარტიტო დელ აციონე მერიდიონალე), რომელიც ძირგამომთხრელ საქმიანობას აწარმოებს უმთავრესად სამხრეთში და რომელსაც აფინანსებენ მსხვილი მემამულე მონარქისტები. ამ ჯგუფს კონტაქტი აქვს სამ-ის (სკუადრე აციონე ალდო რომსინი) ჯგუფის სიცილიელ სეპარატისტებთან, რომლებიც აღმოჩენილი არიან ბერგამოს პროვინციაში. ამ ორგანიზაციის მეთაურია ალდო რომსინი—ყოფილი მონაწილე ფაშისტური „შავი ბრიგადებისა“ და პატრიოტთა მასობრივი დახვრეტისა, რომელიც საპყრობილედან გაიქცა და ორჯერ იყო სიკვდილმისჯილი. ამას წინათ პოლიციამ მიაგნო ამ ბანდის კვალს, რომელიც შარაგზებზე მოქმედებდა, და დააპატიმრა მისი 40 მონაწილე.

ერთ-ერთ ფაშისტურ ორგანიზაციას წარმოადგენს ეგრეთწოდებული „საძფეროვანი მოძრაობა“, რომელიც ნახევრად ლეგალურად არსებობს ჩრდილოეთში და თავის თავს ასაღებს მონარქისტული ტიპის პატრიოტულ ნაციონალისტურ დაჯგუფებად. 18 დეკემბერს „საძფეროვანი მოძრაობის“ ორგანიზაციის ერთ-ერთ შენობაში მილანში კორსო დ'იტალიაზე ჩხრეკის დროს დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი ფაშისტური ფურცლები, დიდი ფულადი თანხები და მიწერ-მოწერა „უომო კუალუნკუეს“ მოძრაობის ორგანიზაციებთან. გასამხედროებული ფაშისტური ბანდები, რომლებიც იატაკქვეშეთში იმალებიან ან შარაგზებზე მოქმედებენ როგორც მძარცველები, თავიანთ წევრებს აგროვებენ „შავი ბრიგადების“ და სხვა ფაშისტური ორგანიზაციების ყოფილ წევრთა რიცხვიდან.

მუსოლინის რეჟიმის დამხობამდე წინ მისი ეგრეთწოდებული სახალხო კულტურის სამინისტრო და ფაშისტური პარტია შეუდგნენ არალეგალური ფაშისტური საქმიანობის მოწყობას, რომელიც უნდა გაჩაღებულიყო მოკავშირეთა ჯარების მოსვლის შემდეგ. პავოლინის მიერ დაარსებულ ამ ორგანიზაციათა ქსელი, კერძოდ ეგრეთწოდებული „რუხი მგლების“ ორგანიზაცია, საბოლოოდ არ ყოფილა ლიკვიდირებული ჩრდილოეთ იტალიის განთავისუფლების შემდეგ. ფაშისტმა ხელისუფლებმა ყალბი დოკუმენტები მისცეს განსაზღვრული რაოდენობის პირებს და მოამზადეს ადგილი იარაღის საწყობებისათვის. ამავე დროს დიდი ანაბრები იქნა შეტანილი ბანკებში ფაშისტთა არალეგალური საქმიანობის დასაფინანსებლად. არალეგალური ფაშისტური ბანდების მონაწილეთა შორის ბევრია ისეთი პირი, რომლებიც პოლიციის ხელისუფალთა წაყრუების შედეგად გაიქცნენ ჩრდილოეთში მილანის სანვატორეს საპყრობილედან, ბრესოს (ქ. მილანის ახლოს) და კოლტანოს (პიზის პროვინცია) საკონცენტრაციო ბანაკებიდან, სადაც იმყოფებოდნენ ჩრდილოეთის განთავისუფლების შემდეგ დაპატიმრებული ფაშისტები. გაქცეულ ფაშისტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შეეფარა მთებს, კერძოდ ლიგურიაში, სადაც მათ ყაჩაღობა დაიწყეს.

არსებული ცნობებით, ფაშისტური ორგანიზაციები ფინანსიურ დახმარებას იღებენ საზღვარგარეთიდან, უმთავრესად შვეიცარიიდან, სადაც მრავლად არიან შეფარებულნი ფაშისტი „ბობოლები“, აგრეთვე მრეწველები და ბანკირები, რომლებმაც სახელი გაიტეხეს მუსოლინის რეჟიმთან კავშირით.

არალეგალური „ფაშისტური მოქმედების პარტიის“ მიერ გამოცემულ საიდუმლო ცირკულარში, რომელიც ამას წინათ პოლიციამ ჩაიგდო ხელში, აღნიშნულია, რომ შვეიცარიის ერთ ბანკში (ბანკი დასახელებული არ არის) შეტანილია ანაბარი 40 მილიონი შვეიცარული ფრანკის რაოდენობით, რაც დანიშნულია იტალიაში ფაშისტური მოძრაობის დასაფინანსებლად. ცირკულარში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა თანამშრომლობა ლიბერალურ პარტიასთან, კათოლიკურ ეკლესიასა და „უომო კუალუნკუეს“ მოძრაობასთან. საჭიროა აღინიშნოს, რომ, პოლიციის ცნობებით, არალეგალური ფაშისტური ბანდების ყოველი ოთხი დაპატიმრებული მონაწილიდან საშუალოდ სამი ამავე დროს აღმოჩნდება ხოლმე წევრი „უომო კუალუნკუეს“ მოძრაობის ორგანიზაციისა, რომელიც კვლავ სრული ლეგალობით სარგებლობს და რომელსაც თავისი ხელმძღვანელი ცენტრი აქვს რომში.

ᲞᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲔᲑᲡ

ლონდონი, 1 იანვარი. (საკდესი). 30.000-ზე მეტმა კაცმა ინახულა ლონდონში საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწყობილი გამოფენა, რომელიც ასახავს გერმანელთა სამხედრო დანაშაულობებს. გამოფენა 1945 წლის 5 დეკემბერს გაიხსნა და 1946 წლის 15 იანვარს დაიხურება. მრავალი ფოტოსურათი და დოკუმენტი გვიჩვენებს ჰიტლერელების მიერ საფრანგეთსა და ევროპის სხვა ოკუპირებულ ქვეყნებში ჩადენილ დანაშაულობებს.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

სახელმწიფო ოპერა—4/I—„რიგოლეტო“, 5/I—„ბორის გოდუნოვი“. **რუსთაველის სახელობის**—4/I—„ერთი ღამის კომედია“, 5/I—„ტარიფის ქვეშ“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 4/I—„მესაფერე ჯილდო“ 5/I—დღისით და საღამოს „მესაფერე ჯილდო“. **გრიბოედოვის სახელობის**—1/I—„ასეც იქნება“, 5/I—„მელიები“. **მუსიკალური კომედიის** — 4/I—„მზის დაბნელება“.

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

4 იანვარს: რუსთაველის სახელობის — „მელიები“. **ოქტომბერი**—„მელიები“. **დამკვრელი**—„ტახირი და ზუხრა“ (კინოჟურნალი „ჩელსი“—„დინამო“). **კომკავშირელი** — „ერთ ღამეს“. **სპარტაკი** — „ტახირი და ზუხრა“. **ლუქსემბურგის სახელობის** — „უდანაშაულო დამნაშავენი“. **ოფიცერთა სახლი**—„გრიგალი“.

ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ

4 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ინსტრუქტორებისათვის შესდგება ამხ. **ფურცხვანიძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„ლენინ-სტალინის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“.**

4 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ლექტორების, მომხსენებლებისა და მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** კონსულტაცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.** (15 დღის მიმოხილვა).

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული დაუსწრებელი სწავლების განყოფილება აწარმოებს სტუდენტთა მიღებას 1945-46 სასწავლო წელს

1. აგრონომიულ ფაკულტეტზე;
2. მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე.

განცხადებები მიიღება 1946 წლის 20 იანვრამდე. მისაღები გამოცდები 20-დან 31 იანვრამდე. მეცადინეობა დაიწყება 1 თებერვალს.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან წლოვანების განუსაზღვრელად ყველა ის პირნი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სასწავლებელი.

უგამოცდოდ მიიღებიან ის პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა 1944 წელს „ფრიადზე“, აგრეთვე ის პირები, რომელთაც 1945 წელს საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს და ვერცხლის მედლით. ეს უფლება ვრცელდება იმ პირებზეც, რომელთაც ტექნიკუმი დაამთავრეს „ფრიადზე“. მიღების დროს უპირატესობა ენიჭებათ სოფლის მეურნეობაში მომუშავეთ.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში.

განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი), გ) სამი ფოტოსურათი 3×4 სმ. იგზავნება დირექტორის სახელზე მისამართით: თბილისი, მარის ქ. № 35. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კანცელარიაში ყოველდღე დილის 9 საათიდან 5½ საათამდე.

დირექცია

მოქალაქე **თინა ვალერიანის-ასულმა აბდუშელაშვილმა**, მცხოვრებმა გოგოლის ქ. № 53, აღძრა საქმე კლარა ცეტკინის ქ. № 112 მცხოვრებ მოქალაქე **იოსებ ივანეს-ძე სვანაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლოში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შრომა-გამასწორებელი ბანაკებისა და კოლონიების სამმართველო და დაცვის შტაბი იუწყებიან სერჟანტ **დავით ონისიმეს-ძე ვეინეტაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/I, 6 ს. გამოსვენება 6/I, 1 ს. ჩაიკოვსკის, 2.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00103